

დავით თინიკაშვილი

რუსეთის იმპერიის ანტიდასავლური რელიგიური პოლიტიკა და მისი ასახვა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში¹

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია რუსეთის ანტიდასავლური ორიენტაციის განმაპირობებელი ფაქტორები და მოკლედაა აღწერილი აღმოსავლელი სლავების დასავლეთთან ურთიერთობის საკვანძო მომენტები და ძირითადი ეტაპები. ორსაუკუნოვანმა მონღოლურმა ბატონობამ თავისი კვალი დააჩნია რუსულ საერო და საეკლესიო მმართველობის სტილს. თუმცა რუსეთის ანტიევროპული შემაერთება მხოლოდ მონღოლური გავლენით არ ყოფილა ნასაზრდოები. ამ მხრივ, სხვა ფაქტორებს შორის კათოლიკეების “სხვებად” და “მტრებად” აღქმის სურვილიც იყო, რაც მნიშვნელოვან სტიმულს იძლეოდა დასავლური საქრისტიანოს წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად. ამას გარდა, ცარიტული რუსეთი თავისი ანტიკათოლიკური პოზიციით ცდილობდა ბიზანტიის მემკვიდრეობითობის იდეა განემტკიცებინა. ევროპასთან დაპირისპირების თვალსაზრისით, მეცხრამეტე საუკუნემდე რუსეთის ცივილიზაციური ჩაკეტილობა და კულტურული ჩამორჩენილობაც თავის უარყოფით როლს ასრულებდა. სტატიის მეორე ნაწილში გაანალიზებულია რუსეთის იმპერიაში არსებული ანტიკათოლიკური პოლიტიკის ასახვა საქართველოში. ამგვარი ანტიდასავლურობის ასეთი ხისტი შემოჭრა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსთვის საკმაოდ მტკივნეული იყო, რადგან ის თავისი ბუნებრივი განვითარებით სწორედ ევროპისკენ მიისწრაფვოდა, რასაც მოწმობს ამ დროის მენისტრიმული ქართული პრესის ანალიზიც. რუსული კოლონიალური პოლიტიკა არა მხოლოდ ქართველი მართლმადიდებლების რუსიფიკაციას გულისხმობდა, არამედ საქართველოში მცხოვრები კათოლიკეების დევნასაც. რუსეთი კათოლიკე მისიონერებს ევროპის პოლიტიკურ აგენტებად აცხადებს და 1845 წელს საქართველოდან აძევებს. ქართველი კათოლიკეების ნაწილი ახალციხეში იწყებს კონცენტრირებას, რადგან ქვეყნის ამ რეგიონში რუსეთის კონტროლი ნაკლები იყო, ნაწილი კი ემიგრაციაში მიდის და სხვადასხვა ქვეყანაში თავის კულტურულ ცენტრებს აარსებენ (სტამბული, მონტობანი და სხვა). საქართველოში რუსული კოლონიური პოლიტიკის ნაწილი იყო აგრეთვე

¹ წინამდებარე სტატია განვრცობილი ვერსიაა მოხსენებისა, რომლითაც გამოვედი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციაზე “ხილული და უხილავი რელიგია: რელიგიის საკითხების სოციო-პოლიტიკური და კულტურული განზომილება საქართველოში” (14-15 ნოემბერი 2019). საბედნიეროდ, ტექსტის განვრცობა-დახვეწის პერიოდი დაემთხვა ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩემს მივლინებას მეთვრამეტე საუკუნის ქართულ-ევროპული ურთიერთობების მიმართულებით კვლევითი პროექტის ფარგლებში, სადაც საშუალება მომეცა გარკვეული დროის მანძილზე წინამდებარე ტექსტის პირველ ნაწილზეც მემუშავა, ვსარგებლობდი რა ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკების გამორჩეულად მდიდარი მასალით რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიაში.

განათლებისა და კულტურის გავრცელებისთვის დაბრკოლების შექმნა. როგორც საერო, ისე საეკლესიო სფეროებში ქართველებისთვის ქართული ენის გამოყენების აკრძალვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო.

სტატია იბეჭდება საკონფერენციო კრებულში, რომლის გამოცემაც იგეგმება 2020 წლის ბოლოს:

ხილული და უხილავი რელიგია: რელიგიის საკითხების სოციო-პოლიტიკური და კულტურული განზომილება საქართველოში. რედ., სოფო ზვიადაძე. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2020.